საექსპერტო შეფასება

ანგარიშზე „ქ. თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე (ს/კ 01.15.04.004.043) კაზინო „ივერია“-ს რეკონსტრუქცია-გაფართოებისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები“.

შ.პ.ს. „არტსტუდიო-პროექტი“-ს ხელმძღვანელობის თხოვნით ჩვენს მიერ 2017 წლის ივნისში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე, კაზინო „ივერია“-ს რეკონსტრუქცია-გაფართოებისათვის გამოყოფილ უბანზე (ს/კ 01.15.04.004.043) ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი: დადგინდეს ქ. თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე, კაზინო „ივერია“-ს რეკონსტრუქცია-გაფართოებისათვის გამოყოფილ უბანზე (ს/კ 01.15.04.004.043 ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმწიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შ.პ.ს. „ახალი საქქალაქმშენპროექტი“-ს გეოლოგიური განყოფილების მიერ 2017 წლის იანვარში. სამუშაოების უშუალო შემსრულებელი, ინჟინერ-გეოლოგი ალ. პასიკაშვილი. მათ გეოტექნიკურ ლაბორატორიაშია შესრულებული გრუნტების თვისებების გამოკვლევა და გრუნტის წყლის ქიმიური ანალიზები, ბეტონის ნაკეთობების მიმართ აგრესიულობის განსაზღვრასთან დაკავშირებით.

საექსპერტოდ წარმოდგენილია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე---------- 9 გვ.
2. ტექნიკური დავალება---------- 1 გვ.
3. ცხრილი გრუნტების თვისებებზე ---------- 1 გვ.
4. ცხრილი გრუნტის წყლის ქიმიურ შედგენილობაზე---------- 3 გვ.
5. მოედნის ტოპოგეგმა---------- 1 ფურც.
6. სამთო გამონამუშევრების ლითოლოგიური სვეტები---------- 1 ფურც.
7. მოედნის გეოლოგიური ჭრილი ---------- 2 ფურც.

პროექტით საკვლევ მოედანზე რეკონსტრუქცია უკეთდება ერთსართულიან კაზინო „ივერია“-ს შენობას. არსებული შენობა კონსტრუქციულად გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, შევსება განხორციელებულია ბეტონის წვრილი ბლოკებით.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად, საკვლევ მოედანზე ავტომანქანაზე დამონტაჟებული საბურღი დაზგით გაყვანილი იქნა 2 შურფ-ბურღილი, თითოეული 11 მ. სიგრძის. შურფ-ბურღილებიდან აღებული იქნა ნიმუშები მათი თვისებების დასახასიათებლად. აღებული იქნა აგრეთვე გრუნტის წყლის სინჯები მათი ქიმიზმის დასადგენად.

ჩატარებული სავლე და ლაბორატორიული სამუშაოების ანალიზის საფუძველზე, საკვლევ მოედანზე გეოლოგიურ ჭრილში გამოყოფილი იქნა გრუნტის შემდეგი ფენები:

1. ფენა 1 – ნაყარი გრუნტი;
2. ფენა 2 – თიხნარი, ქვიშნარის შემავსებლით;
3. ფენა 3 – კენჭნარი, ქვიშნარის შემავსებლით;
4. ფენა 4 – ძირითადი ქანი, გამოფიტული არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა;
5. ფენა 5 – ნაკლებად გამოფიტული არგილითებისა და ქვიშაქვების მორიგეობა.

ანგარიშში მოკლედ არის მოცემული საკვლევი ტერიტორიის გეომორფოლოგიური და გეოლოგიური პირობები. აღნიშნულია, რომ უბანი წარმოადგენს ჭალისზედა მეორე ტერასის ნაწილს. ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის საფუძველზე შედგენილია შურფ-ბურღილების სვეტებისა და საკვლევი უბნის გეოლოგიური ჭრილები. დახასიათებულია ზემოაღნიშნული გრუნტების თვისებები, რის საფუძველზეც ავტორი იძლევა დასკვნას რეკონსტრუქციის შედეგად შენობის ფუძე-გრუნტების მდგომარეობის შესახებ.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობების შესახებ აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გახსნილი იქნა მიწის ზედაპირიდან 3.0-6.5 მ. სიღრმეზე და დამყარდა ამავე დონეზე. როგორც გამოკვლევებმა გვიჩვენა წყალი პრაქტიკულად არ არის აგრესიული ბეტონის ნაკეთობების მიმართ.

დ ა ს კ ვ ნ ა

ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები ქ. თბილისში, რესპუბლიკის მოედანზე, კაზინო „ივერია“-ს რეკონსტრუქცია-გაფართოებისათვის გამოყოფილ უბანზე (ს/კ 01.15.04.004.043), აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რომლებიც მოცემულია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებით. ცალკეული შენიშვნები ჩვენს მიერ გამოთქმული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. დასასრულს ავღნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ანგარიში იმსახურებს დადებით შეფასებას და შეიძლება დაედოს საფუძვლად მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს დამსახურებული მშენებელი,

ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. ჭოხონელიძე

CV ჭოხონელიძე გუგა

გვარი, სახელი, მამის სახელი	ჭოხონელიძე გუგა ილიას ძე
ბინის ტელეფონის ნომერი	ქ. თბილისი, კეკელიძის №10, ბინა 25 ტელ.: 2-22-00-44
დაბადების თარიღი	1928 წლის 16 თებერვალი
განათლება	1945 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 12 ვაჟთა სკოლა, 1950 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტი, მშენებელ-ინჟინერის სპეციალობით, 1972 წელს დავამთავრე იგივე ინსტიტუტი, ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით.
მინიჭებული კვალიფიკაცია	1974 წელს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (დიპლომი) 1975 წელს პროფესორი საინჟინრო გეოლოგიაში (დიპლომი) 2000 წელს საქართველოს საინჟინრო აკადემიის - აკადემიკოსი
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1950-1958 წწ. ჰიდროგეოლოგიისა და მელიორაციის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; 1958-1974წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო ნაწილში; 1983 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების მიმართულების ხელმძღვანელი
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	გამოქვეყნებულია 98 სამეცნიერო შრომა, მათ შორის მონოგრაფია „საქართველოს ლიოსისებური გრუნტები" (1976წ) და „ამიერკავკასიის ლიოსისებური გრუნტები" (1988 წ.) შესწავლილი და ანგარიშები დაწერილი მაქვს იწგურის ჰიდროელექტროსადგურის, ქ. თბილისის, ქ. რუსთავის, სოხუმისა და ქ. ფოთის საინჟინრო „გეოლოგიურ პირობებს გაცემული მაქვს 100-ზე მეტი საექსპერტო დასკვნა მშენებლობის დაკავშირებული ობიექტის საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე. მაქვს გამოგონებები გრუნტების გამაგრებაზე. ვარ ავტორი სახელმძღვანელოებისა: „გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები" 2005 წ. და „ საინჟინრო ნაგებობები" (2012 წ.). ვარ ავტორი სამშენებლო ნორმების: 2.02.01 – 2003 წ. „შენობა-ნაგებობათა ფუძე-საძირკვლები".
უცხო ენების ცოდნა	ქართული - მშობლიური; რუსული - კარგად; ინგლისური - ლექსიკონის დახმარებით

ДИПЛОМ
ДОКТОРА НАУК

МВН № 007499

Москва «23» декабря 1975 г.

Решением
Высшей Аттестационной Комиссии
от 28 ноября 1975 г. (протокол № 18)

Сохненко Юрию Ивану

ПРИСУЖДЕНА УЧЕНАЯ СТЕПЕНЬ ДОКТОРА
ТЕХНИЧЕСКИХ НАУК

Председатель Высшей
Аттестационной Комиссии

Ученый Секретарь Высшей
Аттестационной Комиссии

დიპლომი

Я № 168169

ეს დიპლომი მიეცა გუგა ილიას ძე
ჯოხონელიძეს
მასზე, რომ იგი 1967 წელს შევიდა ვ. ი. ლენინის
სახ. შრომის წითელი დროშის ორდენოსანი
საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში
და 1972 წელს დაამთავრა
აღნიშნული ინსტიტუტის
სრული კურსი სპეციალობით ჰიდროგეოლოგია
და საინჟინრო გეოლოგია

საკვალიფიკაციო კომისიის 1972 წ.
30 ივნისის დადგენილებით
გ. ი. ჯოხონელიძეს მიენიჭა
სამთო ინჟინერ-
ჰიდროგეოლოგის კვალიფიკაცია.

საკვალიფიკაციო კომისიის თავმჯდომარე
კომისიის მდივანი

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1973 წ. „2" აპრილი

სარეგისტრაციო № ГЕ-205

Грузинский ...

საქართველოს რესპუბლიკა

მოქალაქის პირადობის მოწმობა

პირადი № 01026010589

სახელი ზუზა

გვარი ჭოხონელიძე

დაბადების თარიღი 16.02.1928 წ.

დაბადების ადგილი თბილისი

ეროვნება ————



N°ლ 0266413

ჭ. ჭოხონელიძე

პირადი ხელმოწერა

შენიშვნა ————

მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება თბილისის საბურთალოს რაიონის შ.ს. მეორე განყოფილება

გაცემის თარიღი 29.09.2000 წ.

მოქმედების ვადა ————

ბ.ა. უფლებამოსილი პირის ხელმოწერა